# WOMEN'S EDUCATIONAL IINSTITUTION AND THEIR ARCHITECTURE IN TBILISI (SECOND HALF OF THE 19TH CENTURY AND THE BEGINNING OF THE 20TH CENTURY)[1]

# ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი არქიტექტურა თბილისში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი)[2]

**TAMTA SHONVADZE**
Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Arts
PHD Student
0108, Griboedovi str. 22, Tbilisi, Georgia
Mob.: 595 948 881; E-mail: info@art.edu.ge
ORCID Code: 0009-0007-7953-0141

**Abstact:** Tbilisi of the second half of the 19th century and the beginning of the 20th century was distinguished by both, cultural and active educational life. When talking about the educational center, only theoretical material is presented in most of the cases in the scientific research resopurces as a basis, and it is close to impossible to verify the documents that will strengthen the back of these studies, such as visual and written official papers about the location of specific institutions and their functions. The locations of such institutions in specific buildings is sometimes random, but in most of the cases, the appearance of the buildings and their contents are in amazing harmony with each other, and this makes the standalone piece of architecture and the street on which it is located even more fascinating altogether with its own discinctive appearance and rich history.

The present aricle is just a small attempt to study the architecture of some of the buildings of women's educational institutions in Tbilisi built in the given period. These buildings are distinguished by their artistic value and significant monuments of the period. The main goal is to show what aspect of social of social and cultural life of the capital these buildings occupied and what arstistic and aesthetic atmosphere they created for the city; depicting the artistic styles prevailing in the architecture of the capital during the period.

In the given period, the great importance is devoted to the women's education. From the middle of the 19th century, not only private or treasury boarding schools and gymnasiums were open for women, but also schools of various profiles, such as: Transcaucasian Institute of Noble Women, parish

[1] This research [PHDF-22-2375] has been supported by Shota Rustaveli Nationa Science Foundation of Georgia

[2] კვლევა [PHDF-22-2375] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

schools, medical, educational, musical, professional workshops, and higher education courses thet were equal to the higher education.

**Keywords:** women's education; schools; gymnasiums; institutions; architecture; Tbilisi.

**თამთა შონვაძე**
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
დოქტორანტი
0108 საქართველო, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22
ტელ.: 595 948 881; ელ. ფოსტ: info@art.edu.ge
ORCID კოდი: 0009-0007-7953-0141

**აბსტრაქტი:** XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისი როგორც კულტურული, ისე აქტიური საგანმანათლებლო ცხოვრებითაც გამოირჩეოდა. სამეცნიერო კვლევებისას ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ საგანმანათლებლო კერის შესახებ საუბრისას საფუძვლად მხოლოდ თეორიული მასალაა წარმოდგენილი, გასაგები სირთულეების გამო კი რთული დასამოწმებელია დოკუმენტები, რომლებიც ამ კვლევებს ზურგს გაუმაგრებს, როგორიცაა ვიზუალური და წერილობითი დოკუმენტები კონკრეტული დაწესებულების ადგილმდებარეობისა და მისი ფუნქციების შესახებ. ამგვარი დაწესებულებების განთავსება კონკრეტულ შენობებში ხან შემთხვევით ხასიათს ატარებს, ხშირ შემთხვევაში კი შენობის იერსახე და მისი შინაარსი გასაოცარ თანხვედრაშია ერთმანეთთან და ეს კიდევ უფრო მომხიბლავს ხდის როგორც არქიტექტურის კონკრეტულ ნიმუშებს, ისე იმ ქუჩას, რომელზეც ის არის განთავსებული საკუთარი გამორჩეული იერსახითა და დატვირთული ისტორიებით.

წინამდებარე სტატია მითითებულ პერიოდში თბილისში არსებულ ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების ნაწილის არქიტექტურის შესწავლის ერთი მცირე მცდელობაა. ეს შენობები მხატვრული ღირებულებით გამორჩეულ და ამ პერიოდის საგულისხმო ძეგლებს წარმოადგენენ. ჩემი მიზანია, წარმოვაჩინოთ, თუ რა ადგილი ეკავა აქ მოყვანილ ნაგებობებს დედაქალაქის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში და თუ რა მხატვრულ და ესთეტიკურ გარემოს ქმნიდნენ ისინი ქალაქისთვის და ვაჩვენო ამ პერიოდში დედაქალაქის არქიტექტურაში გაბატონებული მხატვრული სტილები.

აღნიშნულ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალთა განათლების საკითხს. XIX საუკუნის შუა ხანებიდან იხსნება ქალთა არა მარტო კერძო თუ სახაზინო პანსიონები და გიმნაზიები, არამედ სხვადასხვა პროფილის სასწავლებლებიც როგორიცაა: ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, სამრევლო სკოლები, სამედიცინო, სამასწავლებლო თუ მუსიკალური სასწავლებლები, პროფესიული სახელოსნოები, უმაღლესი კურსები, რომელიც თავისი მნიშვნელობით უმაღლეს სასწავლებელს უტოლდებოდა.

**საკვანძო სიტყვები:** ქალთა განათლება; სასწავლებლები; გიმნაზიები; ინსტიტუტები; არქიტექტურა; თბილისი.

**შესავალი:** XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი საქართველოს და მისი დედაქალაქის განვითარების ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროს დედაქალაქის ცხოვრებაზე მკაფიოდ აისახება ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული სიახლეები. იზრდება დედაქალაქის საზღვრები, თბილისს ემატება ახალი უბნები - მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე გაშენებული გარეთუბანი და კუკია. ქალაქში ყალიბდება ახალი საზოგადოებრივი სივრცეები - მოედნები, ბაღები, სკვერები, ხდება მათი კეთილმოწყობა და გამწვანება. ჩნდება ახალი დანიშნულების სამრეწველო, საზოგადოებრივი, კულტურული თუ საგანმანათლებლო ნაგებობები, არსდება სამეცნიერო დაწესებულებები. იცვლება ქალაქის მხატვრულ-არქიტექტურული სახე, რომელიც ახალი დროითა და მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი (ბერიძე, (1960)., გვ. 27-28). „რეგულარულმა გეგმარებამ, საზოგადოებრივი ნაგებობების ახალმა ტიპოლოგიამ, ნაგებობების ძველ ქალაქთან შედარებით გაზრდილმა ზომებმა, საზოგადოებრივი ბაღების გაჩენამ, ცხოვრების ახალმა სტილმა, გამდიდრებული ბურჟუაზიული ფენის მიერ აშენებულმა ვეებერთელა გასაქირავებელი სახლების სიმრავლემ, თბილისში ახლებური მასშტაბი დაამკვიდრა და ქალაქის მკვრივი ქსოვილი ჩამოაყალიბა“ (მანია, 2018, გვ. 16). შუასაუკუნოებრივი, ფეოდალური თბილისი თავისი ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ქუჩების ურბანული ქსოვილით ადგილს უთმობს ახალ, რეგულარული ქუჩებითა და ევროპული არქიტექტურული მხატვრული სახით გამორჩეულ ქალაქს. რუსეთის გზით საქართველოში შემოსული სხვადასხვა არქიტექტურული სტილის შენობები დედაქალაქის სახე ხდება. დედაქალაქის მთავარ გოლოვინისა და მიხეილის (დღევანდელი შოთა რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის) პროსპექტებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება მრავალი ახალი დანიშნულების შენობა, რომელთა შორისაა გიმნაზიები, ინსტიტუტები თუ სხვა კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოში, კერძოდ, კი თბილისში XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქალთა საგანამანათლებლო დაწესებულებებსა და მათ არქიტექტურის შესწავლას შეეხება. ქვემოთ მოყვანილი იქნება ისტორიული მნიშვნელოვანებითა და არქტიტექტურული სახით გამორჩეული სასწავლებლების ის მაგალითები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს როგორც კულტურულ-საგანამანთლებლო სფეროში, ისე ქალაქის არქიტექტურის სახის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. განხილული იქნება ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის, ქალთა პირველი და მესამე გიმნაზიის და დიდი თავადის ქალის ოლღა თეოდორეს ასულის სამეანო ინსტიტუტი. ეს შენობები, რომლებიც თავისი იდეური მნიშვნელობითა და არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით ამ პერიოდის საგულისხმო ძეგლებს წარმოადგენენ, საგანგებოდ იქნა არჩეული იმის საილუსტრაციოდ თუ როგორი მხატვრული სტილები ვრცელდება XIX საუკუნის თბილისში. საგულისხმოა, ისიც, რომ ეს ოთხივე შენობა დღემდე თითქმის უცვლელი სახით შემოინახა.

**მეთოდები:** მეთოდოლოგიური თვალსაზრისით წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება როგორც არქიტექტურის მხატვრულ-ფორმალურ ანალიზს, ისე მისი კულტურული, ოდეოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის განხილვას. ასეთი მიდგომა

საშუალებას იძლება წარმოჩნდეს შენობების არქიტექტურული რაობა და განისაზღვროს მათი ადგილი განვითარების ისტორიულ პროცესში. კვლევა ითვალისწინებს როგორც საველე (არსებული შენობების ადგილზე შესწავლას), ისე საარქივო (წერილობითი, გრაფიკული და ფოტომასალის შესწავლა) სამუშაოს.

**შედეგები:** ეს ნაშრომი პირველი ნაბიჯია თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებების ისტორიისა და არქიტექტურის კვლევაში. მისი შედეგები შუქს მოჰფენს თბილისში და, ზოგადად საქართველოში, საგანამანათლებლო დაწესებულებების არქიტექტურის ისტორიას, წარმოაჩენს თუ როგორ და რა პირობებში ხდებოდა ამ ტიპის ნაგებობების ჩამოყალიბება, რა მოთხოვნები და გამოწვევები იდგა არქიტექტორის წინაშე და სხვა. ჩატარებული კვლევის შედეგები საფუძველს ქმნის საკითხის შემდგომი შესწავლისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ უკვე არარსებული ან გადაკეთებული შენობების იდენტიფიკაცია და სრული სახით წარმოვაჩინოთ თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობათა არიქტექტურის სახე; მოვიკვლიოთ და შევისწავლოთ თითოეული დაწესებულებისა და მისი შენობის ისტორია და გამოვავლინოთ მათი არქიტექტურის ხასიათი და ღირებულება, იმისათვის რომ მათ ადგილი დაიკავონ თბილისის ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის არქიტექტურის საერთო სურათში.

**მსჯელობა:** XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში რუსული მართველობის დამყარების შემდეგ, რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად კულტურასთან ერთად სწორედ განათლების სისტემა იქცა. სასწავლებელი - როგორც მთავარი იდეოლოგიური საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა იმპერიის ინტერესების ჩანერგვას ახალგაზრდა თაობაში. თბილისში პირველი სასწავლებელი რუსეთის ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1802 წელს იხსნება (Тер-Егиазаров, 1906, გვ. 19); (Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею. т. I., 1866, გვ. 510). ამ პერიოდისთვის, თბილისში საგანმანათლებლო დაწესებულებების არქიტექტურა, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არსებობდა. სასწავლებლები, იქნებოდა ეს პანსიონები, გიმნაზიები თუ სხვა, საკუთარ ან, ხშირ შემთხვევაში თბილისის მოქალაქისგან გარკვეული ვადით, იჯარით აღებულ, შედარებით კეთილმოწყობილ და დიდ სახლებში ეწყობოდა, რომელიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა ამა თუ იმ სასწავლებლის გარკვეულ მოთხოვნებს და სადაც შესაძლებელი იყო რამდენიმე საკლასო ოთახის და დაწესებულებისთვის სხვა აუცილებელი სათავსოების მოწყობა.

აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის პირველი ნახევრის სასწავლებლების არქიტექტურა საცხოვებელი, ქალაქური ტიპის სახლისგან არ განსხვავდებოდა. XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან კი ნაბიჯ-ნაბიჯ იწყება სპეციალურად საგანამანათლებლო დაწესებულებებისათვის შენობების აგება[3].

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა განათლების რეფორმას, ამავდროულად ყურადღება გამახვილდა ქალთა განათლების როლზე. ქალებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ საქართველოში როგორც პოლიტიკურ ისე საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა დარგებში. ისინი აარსებდნენ სხვადასხვა სასწავლებლებს, ხსნიდნენ კერძო პანსიონებს, საქველმოქმედო, მუსიკალურ, ტურისტულ თუ ფოტოხელოვანთა საზოგადოებებს[4]. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იხსნება არა მარტო

[3] ამის პირველი მაგალითია 1830-იანი წლების მიწურულში თბილისში აგებული პირველი ვაჟთა გიმნაზიის შენობა გოლოვინის (დღევანდელი შოთა რუსთაველის) გამზირზე.

[4] აღსანიშნავია 1846 წელს, თბილისში დაარსებული, წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის მეუღლის, ელიზავეტა ბრანიცკაიას მიერ.

კერძო თუ სახაზინო პანსიონები და გიმნაზიები, არამედ სხვადასხვა პროფილის სასწავლებლებიც. ამაზე ქალთა სასწავლებლების მრავალფეროვნება მეტყველებს: გიმნაზიებთან, კერძო პანსიონებთან და ამიერკავკასიის ინსტიტუტთან ერთად იხსნება ქალთა სხვადასხვა პროფილის (სამრევლო სკოლები, ეპარქიალური, სამედიცინო, სამასწავლებლო თუ მუსიკალური სასწავლებლები, ქალთა პროფესიული სახელოსნოები, სადაც მათ სხვადასხვა ხელსაქმეს ასწავლიდნენ) კერძო თუ სახაზინო სასწავლებლები და უმაღლესი კურსები.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ოციან წლებამდე თბილისში აგებული ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი შენობების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ის ფოტო, დოკუმენტური თუ წერილობითი წყაროები, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული[5]. აქ თავმოყრილი დოკუმენტაცია - არქიტექტორთა, ქალაქის მმართველთა თუ სხვა ოფიციალურ პირთა მიმოწერა, ხელშეკრულებები, ოქმები, მოხსენებითი ბარათები, დასკვნები, ნახაზები, პროექტები თუ ფოტოები[6] - წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო კონკრეტულ შენობასა და მის არქიტექტორზე, არამედ ზოგადად სასწავლებლის დაარსებასა და ქალაქში მიმდინარე სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ პროცესებზე. დოკუმენტებში ვრცლად არის განხილული, თუ როგორ ხდებოდა სასწავლებლის ნაგებობის მშენებლობისთვის საჭირო ფინანსების მოძიება, სახელმწიფო სუბსიდიების გამოყოფა მშენებლობის ხარჯების დასაფარად თუ სხვა. მათში დაწვრილებით არის აღწერილი ყოველი საფეხური, თუ რა რეგულაციების გავლა უწევდა ნებისმიერ შენობასა და მის ავტორს, დაწყებული იდეიდან, პროექტის დამტკიცებასა და მის განხორციელებამდე; რა მოთხოვნებს უყენებდა ქალაქი არქიტექტორს, ვარგისიანი სამშენებლო მასალისა და კონსტრუქციული თუ სახანძრო უსაფრთხოების გათვალისწინებით. დოკუმენტურ მასალაში ნაჩვენებია როგორ ხდებოდა მშენებლობის ხარისხის შემოწმება სპეციალური კომისიის მეშვეობით, რომელშიც ჩართულნი იყვნენ თბილისში მოღვაწე თუ რუსეთის იმპერიიდან მოწვეული წამყვანი ინჟინრები და არქიტექტორები. სასწავლებლის რამდენიმე ძალზე საინტერესო ფოტო გამოვლინდა საქართველოს ცენტრალურ კინოფოტოფონო არქივშიც. ამ ფოტო, წერილობითი თუ გრაფიკული მასალის გარეშე, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა შენობის თარიღისა და ავტორის და თუნდაც დღესდღეობით უკვე არარსებული ან მრავალჯერ სახეცვლილი შენობების ავთენტური სახის აღდგენა.

---

მათ მიერ იქნა დაარსებული ჯერ 1846 წელს თბილისში, 1847 წელს ქუთაისში და 1865 წელს თელავში წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. ამ სასწავლებლებისა და გიმნაზიების დაარსებაში მონაწილეობდნენ ქართველი დიდგვაროვანი ქალბატონები. ამას საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული არა ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი თუ მოგონებები გადმოგვცემს.

[5] სწორედ ამ დოკუმენტებს დაეყრდნობა მეტწილად ჩვენი კვლევა ამ ეტაპზე.

[6] საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სასაწავლებლების ფონდებში ძირითად შემთხვევაში წარმოდგენილია შემდეგი სახის დოკუმენტური მასალა: გიმნაზიების პედსაბჭოს თუ სამეურნეო ოქმები, წლიური ანგარიშები, მასწავლებელთა თუ მოსწვალეების პირადი საქმეები და მათი სიები, ატესტატები. საგამოცდო ჟურნალები, სასწავლო პროგრამები, თანამშრომელთა ნამსახურების სიები. უწყისები, მოწმობები. თხოვნები გიმნაზიაში მიღების შესახებ. ოფიციალური მიმოწერა პედაგოგთა თუ აღსაზრდელების დაჯილდოების შესახებ, გიმნაზიისა და მისი შენობის მდგომარეობის შესახებ, შენობის რემონტისა და გადაკეთების ხარჯთაღრიცხვები და სხვა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გვხვდება სასწავლებელთა შენობების ნახაზები და პროექტები. ნახაზის არ არსებობის შემთხვევაში კი შენეობაზე წარმოდგენას საქმეში დაცული განმარტებითი ბარათები და ხარჯთაღრიცხვებში ჩასმული აღწერები გვიქმნის.

თბილისში ქალთა პირველი სასწავლებელი კეთილშობილ ქალთა პანსიონი იყო, გახსნილი მთავარმმართებელ პასკევიჩის ინიციატივით 1830 წლის 11 ივლისს (ახ. სტ. 1830 წლის 23 ივლისს) (ხუნდაძე, 1937:100-101). პანსიონის ხარჯების დასაფარად, უმაღლესი მმართველობისგან, ყოველწიურად გამოყოფილი იყო 2500 ვერცხლის მანეთი. კეთილშობილ ქალთა პანსიონს თავისი მხარდაჭერა გამოუცხადა ბარონმა როზენმაც, რომელიც დაარწმუნა ადგილობრივმა თავადაზნაურობამ საქართველოში ქალთა განათლების მნიშვნელობაში (სცსა ფ.214. ა.1. ს.140). სწორედ ამ პანსიონის ბაზაზე 1840-იანი წლებიდან ფუნქციონირებას იწყებს თბილისის ქალთა პირველი სახაზინო სასწავლებელი - ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. 1840 წლის 23 მარტს (ახ. სტ. 1840 წლის 4 აპრილს) დაფუძნდა ინსტიტუტის წესდების პროექტი (Акты, т. IX, 1884), რომელიც უნდა ამოქმედებულიყო 1841 წლიდან (სცსა ფ.424. ა.1. ს.41).

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დასაწყისში სასწავლო დაწესებულებებს არ გააჩნდათ სპეციალურად მათთვის აშენებული ნაგებობები, ამიტომ ესა თუ ის სასწავლებელი თბილისის მოქალაქეთა დიდ შენობებში იდებდა ბინას. ასე იყო ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის შემთხვევაშიც. როგორც დავინახეთ, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სხვადასხვა დოკუმენტების თუ წყაროების მიხედვით, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მისამართზე მდებარეობდა. ინსტიტუტმა მცირე დროით ბინა დაიდო ქალთა პანსიონის შენობაში, გენერალ-მაიორ ორბელიანის ქვრივის სახლში, რადგან ეს იყო ერთადერთი შენობა იმ დროისათვის, რომელიც შეესაბამებოდა ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებლის მოთხოვნებს. ამისათვის მთლიანად იქნა გადაკეთებული საცხოვრებელი ოთახები საკლასო ოთახებად, ისე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების პირობებში. ხოლო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კი ინსტიტუტის საბჭო ვალდებული ხდებოდა დაებრუნებინა ორბელიანის ქვრივისთვის მთელი შენობა იმ მდგომარეობაში, როგორც ეს იყო გადაკეთებამდე. მაგრამ ამ დროისათვის დასრულდა მოქალაქე შადინოვის სახლის მშენებლობაც, რომელიც ინსტიტუტის საბჭოს მიერ იქნა მოწონებული, რადგან ის უფრო მეტად აკმაყოფილებდა უკვე არსებული ინსტიტუტის მოთხოვნებს (სცსა ფ.2. ა.2. ს.1405). ინსტიტუტი გადავიდა სოლოლაკში, ბაღის (დღევანდელი ლადო ასათიანის) ქუჩაზე მდებარე, შადინოვის სახლში (Кавказский Календарь, 1845:239)[7]. 1857 წლიდან ქალთა ინსტიტუტი ლაბორატორიისა და ერმოლოვის (დღევანდელი პავლე ინგოროყვასა და შიო ჩიტაძის) ქუჩების კუთხეში, ისაკ თუმანიშვილის მიერ აგებულ სახლში[8] (Кавказский Календарь,

[7] ეროვნულ არქივში დაცული საქმეში (სცსა ფ.2. ა.2. ს.1405) ჩანს რომ ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტს თავის სახლს სთავაზობს პოლკოვნიკი არწრუნიც. გოლოვნის პროსპექტზე კორპუსის შტაბთან არსებული პოლკოვნიკ არწრუნის სახლი იტევდა იგივე რაოდენობის მოწაფეებს და აღსაზრდელების საწოლები განთავსებული იქნებოდა ისე, როგროც ეს შადინოვის სახლში. პოლკოვნიკი არწრუნი გადასცემდა ქალთა ინსტიტუტს თავის შენობას 1846 წლის 1 იანვრიდან (ახ. სტ. 1846 წლის 13 იანვრიდან) შემდეგი პირობით: თუ შენობას მთელი თავისი მინაშენებით იქირავებდნენ არანაკლებ 4 წლის ვადით 3000 ვერცხლის მანეთად წელიწადში. მაგრამ გადავიდა თუ არა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი არწრუნის შენობაში, ეს ამ საქმიდან არ ჩანს.

[8] „საველე აუდიტორიის თავმჯდომარემ ისაკ თუმანიშვილმა, - ერეკლე II ეპოქის სახელმწიფო მოღვაწის სულხან თუმანიშვილის შვილიშვილმა, - ააგო უშველებელი შენობა, რომელიც დღესაც არსებობს. ამ სახლში ინსტიტუტი გადმოვიდა 1857 წელს სოლოლაკიდან, ბაღის ქუჩიდან, სადაც შადინოვის სახლში იყო მოთავსებული“. (ხელთუბნელი, 1941:8); ტარიელ ხუნდაძე, შადინოვის სახლის იგივე ქალთა ინსტიტუტის მისამართს, „მახარაძის და ენგელსის ქუჩების კუთხეს“ უთითებს (ხუნდაძე, 1937:101; ხელთუბნელი, 1941;110). ინტერესს იმსახურებს დღევანდელი გერონტი ქიქოძის ქუჩის ისტორია.

1857:506; Кавказский Календарь 1879:161) გადადის. ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბოლოო შენობა, რომელიც დღემდე შემოგვენახა, ალექსი ერმოლოვის (დღევანდელი შიო ჩიტაძის) ქუჩაზე, არქიტექტორ რობერტ გედიკეს მიერ 1888-1890 წლებში (დღევანდელი საგარეო საქმეთა სამინისტრო) აშენდა.

საქართველოს ეროვნულ არქივში გამოვლენილი დოკუმენტების თანახმად, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის შენობის მშენებლობაზე ზრუნვა სასწავლებლის საბჭომ, მისი დაარსების დღიდანვე დაიწყო. თავდაპირველად უკვე არსებული გეგმის მიხედვით შენობის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა და სამშენებლო მასალის მოძიება და შეძენა დაევალა ინჟინერ პოლკოვნიკ ევსტრატოვს (სცსა ფ.205. ა.1. ს.140). 1841-1842 წლის ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის შემოსავალ-გასავლის მიხედვით, ამ ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად გაიცემოდა 5000 მანეთი ინსტიტუტის შენობის ასაშენებლად. მაგალითად, დეკემბრის თვეში მშენებლობისთვის 5000 ვერცხლის მანეთი გადასცეს სახელმწიფო შენობების მშენებელ ინჟინერს პოლკოვნიკ ევსტრატოვს (სცსა ფ.2. ა.1. ს.7081). მასვე ევალებოდა ინსტიტუტისთვის ინვენტარისა და სხვადასხვა ავეჯის შესყიდვის საქმეც. როგორც ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, ინჟინერ პოლკოვნიკმა ევსტრატოვმა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას თავი ვერ გაართვა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთავარმართებელ გოლოვინთან შეთანხმებით 1842 წელს ინსტიტუტის მოწყობა ჩაიბარა ქალთა ინსტიტუტის შემდგარმა საბჭომ. როგორც ჩანს, ამ დროისთვის ინსტიტუტის შენობა აშენებული არ არის და ის ჯერ კიდევ შადინოვის სახლშია. ამაზე მეტყველებს საქართველოს ეგზარქოსის, ევგენის, წერილი ამიერკავკასიის მთავარმართებლის ალექსანდრე გოლოვინისადმი. მიმოწერაში საუბარია გრიგორიანული აღმსარებლის შადინოვის სახლში ინსტიტუტის მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით, რომლის ინიციატორიც ინსტიტუტის მმართველი გრაბარიჩი გახლდათ. გაბრიელ შადინოვის სახლში მდებარეობს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი 1844 წლის მიწურულშიც. იგი პოლკოვნიკ სონინს სთავაზობს თანხმობის შემთხვევაში თავისი სახლები კიდევ 4 წლის ვადით დაუთმოს ქალთა ინსტიტუტს (სცსა. ფ.2, ა.2, ს.1405).

1846 წლის 14 ნოემბერს (ახ. სტ. 1846 წლის 26 ნოემბერს), კავკასიის მეფისნაცვალმა ქალაქის არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის (1817-1851) დაავალა კეთილშობილ ქალთა ამიერკავკასიის ინსტიტუტის შენობის პროექტისა და ხარჯთაღიცხვის შედგენა. სკუდიერის მიერ სამშენებლო კომისიაში წარდგენილ იქნა ინსტიტუტის შენობის მთავარი კორპუსის, ქვის გალავნისა და გვერდითი ფლიგელის განამარტებითი ბარათი, ხარჯთაღრიცხვა და პროექტი. პოლკოვნიკმა სონინმა განიხილა ინსტიტუტის შენობის წარდგენილი პროექტი და 1847 წლის 8 იანვარს გადასცა საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამშენებლო კომისიას (სცსა ფ.205. ა.1. ს.370). 1851 წლის 2 მარტს (ახ. სტ. 1851 წლის 12 მარტს) ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭომ ჯოვანი სკუდიერის თავიდან დაუკვეთა ინსტიტუტის შენობის გეგმა და

---

მასთან XVIII საუკუნეში დარეჯან დედოფლის ბაღები იყო, შემდეგ 1857 წლამდე ამ ქუჩას ინსტიტუტის სახელი დაერქვა, რადგან აქ განთავსებული იყო ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, მისი იქიდან გადასვლის შემდეგ ეწოდა ძველი ინსტიტუტის, 1900 წლებიდან პასკევიჩის, შემდეგ კი მახარაძის (აბაშიძე, ზ., ბათიაშვილი, გ., ბერიძე და სხვა. ქუჩები გამზირები მოედნები, 2008:180) სახელი. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ინსტიტუტი ან ამ ქუჩაზეც მდებარეობდა, ან შადინოვის სახლი ასათიანისა და ქიქოძის კუთხეში იდგა (ეს საკითხი ჩვენი შემდგომი კვლევის საგანი იქნება); ბაღის ქუჩაზე მდებარე შადინოვის სახლში, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის გადასვლის შემდეგ სხვადასხვა სასწავლებლები იყო მოთავსებული, მაგალითად 1879 წლის კავკაზსკი კალენდრის მიხედვით კერძო რეალური სასწავლებელი მდებარეობდა (Кавказский Календарь, 1879:160)

ხარჯთაღრიცხვა. ამასთან საბჭო სკუდიერის სთხოვდა, განესაზღვრა კიდევ რამხელა მიწის ნაკვეთის შესყიდვა მოუწევდათ ამ ნაგებობის მშენებლობისთვის, მისი ეზოსა და ბაღის მოსაწყობად. მართალია სკუდიერიმ ამ დავალების შესრულება დაიწყო, თუმცა მისი მოულოდნელი გარდაცვალების გამო, საქმის დასრულება ვერ მოასწრო. არქიტექტორის გარდაცვალების მიუხედავად, 1851 წლის 30 ნოემბერს (ახ. სტ. 1851 წლის 12 დეკემბერს) კომისიამ მოიწონა სკუდიერის მიერ შედგენილი ინსტიტუტის შენობის გეგმა. მის მიერ დაწყებული ხარჯთაღრიცხვა წარდგენილ იქნა თბილისის საგუბერნიო სამშენებლო კომისიასზე, რათა აერჩიათ პიროვნება რომელიც მიიყვანდა ბოლომდე აწ უკვე გარდაცვლილი არქიტექტორ სკუდიერის დაწყებულ საქმეს (სცსა ფ.205. ა.1. ს.830). 1853 წლის 23 ივნისით (ახ. სტ. 1853 წლის 5 ივლისს) დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, დაიგეგმა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის მთავარი კორპუსის მშენებლობა. ოთხსართულიანი შენობის პროექტი, რომლის მშენებლობაც 4 წელი უნდა გაგრძელებულიყო, შეადგინა თბილისის საგუბერნიო არქიტექტორმა ტიმოთე ბელოიმ (1805 წ. - გარდაცვალების წელი უცნობია)[9]. მართალია, დოკუმენტში არ არის შენობის არქიტექტურის ვრცელი აღწერა, მაგრამ აღნიშნულია, რომ - „ფასადის კედლები იყო მობათქაშებული, გარდა სარკმლებისა, რომელიც შესრულებული იყო რუსტიკით, ადგილობრივი ტუზემცების ხელოვნების მიხედვით“. ეს კი მნიშვნელოვან აქცენტს წარმოადგენს ამ ოთხსართულიანი შენობის ფასადთა მხატვრული სახის გადაწყვეტაში (სცსა ფ.205. ა.1. ს.1068). მის მიერვე იქნა დაგეგმილი ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებლის შენობისთვის არჩეული მიწის ნაკვეთზე არსებული ძველი შენობების დანგრევა-აღების პროექტიც (სცსა ფ.205. ა.1. ს.1069)[10].

საბოლოოდ, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა, არქიტექტურის პროფესორის, რობერტ ანდრიას ძე გედიკეს (1829-1909 წწ.) მიერ 1888-1890 წლებში ერმოლოვის (დღევანდელი შიო ჩიტაძის) ქუჩაზე აგებულ შენობაში დაიდო ბინა (Зодчий, 1894:2-3)[11]. (ფოტო 1)

მთაწმინდის ფერდს ორგანულად მორგებული ნაგებობა, თავისი მასშტაბითა და მხატვრული სახით მაშინათვე გამოირჩევა ჩიტაძის ქუჩის განაშენიანებიდან. წითელი აგურით ნაშენი, შეულესავი, ინსტიტუტის სამსართულიანი შენობის ცენტრალური შვერილი ნაწილი გაფორმებული იყო ქართულ შუასაუკუნეების არქიტექტურისთვის კარგად ნაცნობი სამთავსის კომპოზიციური დეკორით, რომელიც მთავარ მხატვრულ აქცენტს წარმოადგენდა ნაგებობის გლუვ და სადა კედლის სიბრტყეზე. მთავარი ფასადი მოწესრიგებულობით გამოირჩევა, რასაც ხაზს უსვამს რუსტირებული პილასტრებითა და საგანგებოდ აქცენტირებული შესასვლელისა და სარკმლების კომპოზიციით გამოყოფილი ფასადის ცენტრალური არე, რომელიც დაგვირგვინებული იყო სასაწავლებლის სამლოცველოს

[9] “1852 წელს მიეკუთვნება ერთი აბანოს პროექტი, თბილისის ბირჟისა და საქალაქო მმართველობის შენობისა და ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის ახალი შენობის პროექტები“ (ბერიძე, 1863:165).

[10]1900 წლის თებერვალში ქალთა ინსტიტუტში იმპერატორ ნიკოლოზ პირველის სტუმრობასთან დაკავშირებით არქიტექტორს ოტო სიმონსონს დაევალა თბილისში მომხდარი მიწისძვრის გამო შენობის უსაფრთხოების შემოწმება (სცსა ფ.12. ა.7. ს.2237).

[11] შენობის საძირკვლის გაჭრას ესწრებოდა 1888 წელს იმპერატორი ალექსანდრე მეუღლესთან მარია თეოდორეს ასულთან და უფლისწულ ნიკოლოზთან ერთად, სადაც წყლის კურთხევის რიტუალს შეასრულებდა საქართველოს ეგზარქოსი პალადი. ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე და ბესარიონ ალავერდელი სხვა არქიმანდრიტებთან და სასულიერო პირებთან ერთად. (Кавказский Календарь, 1910:29-30).

სამრეკლოთი (ეხლა აღარ არსებობს). ეს შენობა ე.წ. „ქართული სტილის“[12] ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რომელიც „1880-იანი წლებიდან განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ის გასცდა საეკლესიო არქიტექტურის ფარგლებს და საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებშიც შეაღწია“ (ხოშტარია, 2016:38). „ქართული სტილის“ გაჩენა XIX საუკუნის საეკლესიო თუ საერო არქიტექტურაში, რუსეთის იმპერიაში მოღვაწე არქიტექტორების მიერ შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის დაინტერესებით იყო გამოწვეული, რომელიც ერთგვარი რომანტიზმის ხასიათს იღებს და სხვადასხვა ფორმებისა და მოტივების სტილიზაციის სახით გვხდება თბილისის საზოგადოებრივ თუ საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში. “ეს „ქართული“ შენობები კი არ ავითარებს ეროვნული ხუროთმოძღვრების არსებით თვისებებს, არამედ მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ ფორმებსა და, განსაკუთრებით, სამკაულებს სესხულობს მისგან“ (ბერიძე, 1963:83). ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის ყაზარმული ტიპის ნაგებობაზე სამთავნური კომპოზიციის გაჩენა კი შენობის მშენებელს ალბერტ ზალცმანს მიეწერება, რომელიც თბილისში გერმანელი კოლონისტის ოჯახში იყო დაბადებული და კარგად იცნობდა ქართულ ხელოვნებასა და თბილისის არქიტექტურას (მანია, 2018:184).

კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტს, ისევე როგორც მის შენობას, რომლის მშენებლობასაც, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა დროს თბილისის წამყვანი არქიტექტორები გეგმავდნენ და უძღვებოდნენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საგანმანათლებლო სფეროსა[13] და თბილისის არქიტექტურის ისტორიაში. 1. ეს არის ამიერკავკასიაში ერთ-ერთი პირველი ქალთა უმაღლესი სახაზინო სასწავლებლი. 2. აქ კარგად გამოჩნდა ის პრობლემები, რომლებსაც იწვევდა სპეციალური საგანამანათლებლო დაწესებულებების არქიტექტურის არარსებობა. ისტორიაში, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, ჩანს, თუ რა ხშირად უწევდა დაწესებულებას მისამართის ცვლა და შესაბამისი შენობის ძიება, რომელიც დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს. 3. არქიტექტურის პროფესორის, რობერტ გედიკეს, მიერ განხორციელებულ შენობაში კარგად აისახება თბილისის არქიტეტურის მხატვრულ სტილთა ძიებების მრავალფეროვანი სურათი, რაც ახასიათებდა აღნიშულ ეპოქას.

მეორე შენობა, რომელზეც მსურს ყურადღების გამახვილება, არის იმ პერიოდის გამორჩეული არქიტექტორის ალბერტ ზალცმანის (1833-1897) მიერ დაპროექტებული ქალთა პირველი გიმნაზია ატამანის (დღევანდელი ლადო გუდიაშვილის) ქუჩაზე. (ფოტო 2)

ეროვნულ არქივში დაცული თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის წესდებიდან ვიგებთ, რომ აღნიშნული სასწავლებელი 1865 წელს, ხოლო მასთან არსებული პროგიმნაზია კი 1873 წელს დაარსდა (სცსა ფ.422. ა.1. ს.218). 1870 წლის 20 ნოემბერს (ახ. სტ. 1870წლის 2 დეკემბერს) "თბილისის ქალთა გიმნაზია", ეწოდა, 1871 წლის 26 თებერვალს (ახ. სტ. 1871 წლის 10 მარტს) - "ოლღა თეოდორეს ასულის თბილისის ქალთა გიმნაზია" და ამავე დროს ის გადაიქცა დამოუკიდებელ ქალთა სასწავლებლად (სცსა ფ.422. ა.1. ს.440). 1917 წელს, სასწავლებელს სახელი კვლავ შეეცვალა და ის იწოდებოდა "თბილისის პირველ ქალთა გიმნაზიად". გაუქმდა 1921 წელს. გიმნაზიის დაარსების თარიღად აღინიშნებოდა 16 აპრილი (ახ. სტ. 28 აპრილი) (სცსა ფ.422. ა.1. ს.708), დღე, როდესაც ოლღა თეოდორეს ასული კავკასიაში ჩამოვიდა. „თავდაპირველად, ქალთა სასწავლებელი მოთავსებული იყო კერძო სახლებში,

[12] „ქართული სტილის“ შესახებ ვრცლად იხ. ხოშტარია დავით, 2016, არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918); ასევე, გერსამია თამაზ, 2006, *სპექტრი*, „ქართული სტილი“ თბილისის არქიტექტურაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე.

[13] ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, მისი არსებობის მანძილზე, არა ერთმა გამოჩენილმა და დიდგვაროვანმა ქალბატონმა დაამთავრა.

ქალაქის მტკვრის მარცხენა ნაწილში. 1872 წელს გადაწყდა ქალთა გიმნაზიის გადაყვანა კუკიიდან, რომელიც მაშინ წარმოადგენდა „отдаленную часть г. Тифлиса“, ქალაქის მთავარ, ცენტრალურ ნაწილში“ (გერსამია, 2015, ARS GEORGICA, https://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/184.html?ed=16).

როგორც აღვნიშნეთ, დიდი მთავრის ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის ქალთა პირველი გიმნაზიის შენობისთვის პროექტის შედგენა ალბერტ ზალცმანს დაევალა. გიმნაზია იმ პერიოდში კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის უკან აშენდა[14]. აღსანიშნავია ჩვენთვის საინტერესო შენობის მშენებლობის, პროექტის დამტკიცების, რემონტის ხარჯთაღრიცხვისა და გიმნაზიის დაარსების ირგვლივ არსებული მასალა (სცსა ფ.203. ა.1. ს.303). პროექტი თბილისის სამშენებლო-საგზაო კომიტეტმა 1873 წლის 25 ივლისს (ახ. სტ. 1873 წლის 6 აგვისტოს) დაამტკიცა. 1874 წლის ოქტომბერში დასრულდა მშენებლობა. სამსართულიანი შენობის მთავარი ფასადის, ატამანის ქუჩის მხარეს, პირველ სართულზე განზრახული იყო მაღაზიების გახსნა. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1904 წლის დოკუმენტის თანახმად, გიმნაზიის შენობის ნაწილი დაეთმო კავკასიის მუზეუმს, 1912 წელს ლორის-მელიქოვის ქუჩის მხრიდან გიმნაზიაზე მიაშენეს ახალი ფლიგელი (სცსა ფ.453. ა.1. ს.172).

ქალთა პირველი გიმნაზიის შენობა სადა, თავშეკავებული დეკორით გამორჩეულ, რენესანსულ სტილში გადაწყვეტილ სამსართულიან შენობას წარმოადგენს. მისი რუსტირებული კედლები დეკორატიული თავსართებით გაფორმებული სარკმლების ღიობებისა და ბრტყელი პილასტრების მონაცვლეობით მშვიდ რიტმს ქმნის საერთო კომპოზიციაში. შენობის მთავარი ფასადი მოწესრიგებულობით, გაწონასწორებულობით გამოირჩევა, რასაც ხაზს უსვამს მთავარი ფასადის რიზალიტი, თაღოვან სარკმლებთან და მაღალი შედარებით დეკორატიულად გამორჩეულ ანტაბლემენტთან ერთად. ამგვარი თავშეკავებული გადაწყვეტით არქიტექტორი გამოჰყოფს ფასადის საერთო სიმეტრიულ მშვიდ კომპოზიციას, რაც ზოგადად ახასიათებდა ზალცმანის შენობების საერთო შთაბეჭდილებას.

თბილისის განაშენიანებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალთა მესამე გიმნაზიის შენობას, რომლის შესახებაც მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას და პროექტებს გვაწვდის საქართველოს ეროვნული არქივი[15]. გიმნაზია ბებუთოვის (დღევანდელი მე-6

[14]გიმნაზიის შენობა თავის დროზე წარმოადგენდა იმ კულტურულ-საზოგადეობრივი შენობების კომპლექსის ნაწილს, რომელიც დაპროექტებული და განხორციელბეული იყო ალბერტ ზალცმანის მიერ. ეს შენობები თითქმის მთელ კვარტალს იკავებდა გოლოვინის პროსპექტის, ბარონის, ატამანის ქუჩებისა და ნიკოლოზის (დღევანდელი შოთა რუსთაველის გამზირის, ანტონ ფურცელაძის, ლადო გუდიაშვილის ქუჩების და გუდიაშვილის) შესახვევში. ამ „არქიტექტურულ კომპლექსში“ გაერთიანებული იყო საჯარო ბიბლიოთეკის, კავკასიის მუზეუმის, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ტიპოგრაფიის, მუსიკალური თუ სამხატვრო სკოლის შენობები, მუზეუმსა და ბიბლიოთეკის შენობებს შორის თაღოვანი გალერეა და სამეცნიერო შეკრებების დარბაზი. ეროვნულმა არქივმა არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი შემოგვინახა ამ შენობათა კომპლექსის შესახებ. სამწუხაროდ, აქ ჩამოთვლილი ნაგებობებიდან დღეს მხოლოდ ქალთა გიმნაზიის შენობაა შემონახული, რომელიც სიმონ ჯანაშიას ეროვნული მუზეუმის კომპლექსის ნაწილშია ჩაწერილი.

[15] ქალთა მესამე გიმნაზიის, ისევე როგორც სხვა სასწავლებლების შესახებ მასალა, საისტორიო ცენტრალური არქივის სხვადასხვა ფონდებშია გაფანტული. აქ წარმოდგენილია 1895-98 წლების გიმნაზიის შემოსავალ-გასავლის დოკუმენტები, დირექტორის დანიშვნის ცნობები, აღსაზრდელებისა და პედაგოგების შესახებ ინფორმაცია და სხვა. სამწუხაროდ ამ ეტაპისთვის შენობის პროექტის მოპოვება ვერ მოხერხდა.

საავატორო სკოლა ლადო ასათიანის) ქუჩაზე მდებარეობს და თითქმის მთლიანად შემოინახა თავისი ავთენტური სახე (ფოტო 3).

თავდაპირველად გიმნაზია დაარსდა როგორც „მადამ სერპინეს ქალთა კერძო სასწავლებელი“[16], 1888 წელს ეწოდა „ქალთა შვიდკლასიანი გიმნაზია“, 1894 წელს „თბილისის მესამე ქალთა გიმნაზია“, გაუქმდა 1921 წელს (ცენტრალური საიტორიო არქივის მეგზური, 2018:121).

მესამე გიმნაზიას, ისევე როგორც თბილისის სასწავლებლების უმეტესობას, თავიდან საკუთარი შენობა არ გააჩნდა და ისევე როგორც მასთან არსებული პანსიონი, კერძო სახლში იყო განთავსებული. წყაროების მიხედვით, ქალთა მესამე გიმნაზია თავდაპირველად ბაღის და ძველი ინსტიტუტის (დღევანდელი ლადო ასათიანისა და გერონტი ქიქოძის) ქუჩების კუთხეში, სოლოლაკში მდებარეობდა (Кавказский Календарь, 1892:11).

1898 წლის 9 ივნისის (ახ. სტ. 1898 წლის 21 ივნისს) დოკუმენტით ვიგებთ, რომ გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ სტრუვე, ხოლო გიმნაზიის პანსიონის ხელმძღვანელი მინა სტრუვე იყო. პანსიონს თბილისში კოროლიოვას სახლის შუა და ზედა სართულები ეკავა. 1900 წელს თბილისის ქალთა მესამე გიმნაზიამ დაიწყო ზრუნვა შენობის ასაშენებლად სესხის გამოყოფა-დამტკიცების თაობაზე. 1902 წლის 29 ივნისს (ახ. სტ. 1902 წლის 12 ივლისს) მიიღო სესხი 100 000 მანეთის ოდენობით (სცსა ფ.455. ა.1. ს.400). როგორც ჩანს, ეს თანხა შენობის მშნებლობისთვის საკმარისი არ იყო და გიმნაზიის საბჭო დამატებით 150 000 მანეთის კრედიტს ითხოვს, თავდებში კი ბანკს შენობისა და მის კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ჩადებას სთავაზობს. იმ შენობას, რომელშიც იმ დროისთვის გიმნაზია იყო განთავსებული, მისივე ხარჯით გაუკეთდა კაპიტლაური მინაშენი და ხელშეკრულება გაგრძელდა 1906 წლამდე (სცსა ფ.455. ა.1. ს.99).

მართალია, საქართველოს ეროვნულ არქივში გიმნაზიის მთავარი შენობის პროექტი ჯერჯერობით ვერ გამოვავლინეთ, მაგრამ აქ დაცულია მიხეილ ოჰანჯანოვისა (1870-1916) და ალექსანდრე ოზეროვის (1849-1922) მიერ დაპროექტებული გიმნაზიის ადმინისტრაციული შენობები. პირველი შენობის პროექტი 1905, ხოლო მეორე 1910 წლით[17].

ლადო ასათიანის ქუჩაზე მდებარე შეულესავი, წითელი აგურის, გოთურ სტილში გადაწყვეტილი ოთხსართულიანი გიმნაზიის შენობა, პირველივე დანახვისთანავე მომნუსხველ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. შალვა დადიანის ქუჩის ბოლოს, პერსპექტივში მდგარი ეს მკაფიო ინდივიდუალურობით გამორჩეული შენობა ალექსანდრე ოზეროვს ეკუთვნის. გიმნაზიის მშენებლობა, როგორც საარქივო საბუთებიდან ჩანს, 1902 წელს დაუწყიათ. შენობას საძირკველი 1903 წლის 23 აპრილს ჩაეყარა (ახ. სტ.,1903 წლის 6 მაისს) ხოლო მისი კურთხევა და საზეიმო გახსნა 1905 წლის 9 იანვარს მოხდა (ახ. სტ. 1905 წლის 22 იანვარს) (გერსამია, 2018, ARS GEORGICA, *https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-26-26/216-2019-01-03-08-44-30.html*). შენობის არქიტექტორთან დაკავშირებით არსებობს

[16] მადამ სერპინეს 1882 წელს ქალთა პროგიმნაზია შახმურადოვის სახლიდან ფიოდორენკოს სახლში ჭავჭავაძისა და არსენალის (ჭავჭავაძისა და ძმები ზუბალაშვილების) ქუჩების კუთხეში გადავიდა (Кавказ, 1882, #205); მისივე ქალთა კერძო გიმნაზია, რომელიც 1888 წელს გაიხსნა მდებარეობდა რტიშჩევის (დღევანდელი პაოლო იაშვილის) ქუჩაზე, შმაკოვის სახლში (Кавказский Календарь, 1890:83), მომდევნო წლებში კი გვხვდება ველიამინოვის (დღევანდელი შალვა დადიანის) ქუჩაზე, ამათუნის სახლში (Кавказский Календарь, 1895:517);

[17] 1910 წელს განხორციელებული ქალთა მესამე გიმნაზიის ადმინისტრაციული შენობის პროექტი დღემდეა შემორჩენილი გიმნაზიის ტერიტორიაზე და თითქმის უცვლელი სახით შემოინახა ჩვენამდე.

განსხვავებული მოსაზრებაც. ვახტანგ ბერიძე, შენობის არქიტექტორად სამოქალაქო ინჟინერს როტინოვს ასახელებს (ბერიძე, 1963:76).

შენობის დეკორატიულ-არქიტექტურულ მახვილს, მისი მთავარი ფასადის რიზალიტზე გამოყვანილი მაღალი ხუთი სარკმელი განსაზღვრავს. გოთურ სტილში გადაწყვეტილი დეკორატიული, ვარდულებით შემკული მაღალი სარკმლები შენობის ორ სართულს აერთიანებს და მათი შეისრული მოყვანილობის თავსართები ამ სტილისთვის დამახასიათებელ ზესრწაფ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ შეგრძნებას აძლიერებს დეკორატიულად გაფორმებული ანტაბლემენტი თავისი წვრილთაღოვანი კარნიზითა და მასზე შემომდგარი პარაპეტი. მიუხედავად ამ ერთი შეხედვით გადატვირთულობისა, მთავარი ფასადი გარკვეულ წესრიგს ემორჩილება, რასაც ხაზს უსვამს რიზალიტის შუაში გამოყოფილი სიმეტრიის ღერძი - შედარებით სადად გადაწყვეტილი შესასვლელი აგურის პორტალითა და ცენტრალური სარკმლით, რომლის ერთსა და მეორე მხარეს თანაბრად ნაწილდება რიზალიტის სიბრტყეები. რაც შეეხება მთლიანი ფასადის გაფორმებას, კედლის სიბრტყეს, მას მხოლოდ სხვადასხვა მოყვანილობის სარკმლები და აგურში ამოყვანილი ბრტყელი სწორკუთხა პილასტრები ანაწევრებს. გოთური სტილისთვის დამახასიათებელი ერთგვარი მოუსვენრობის შეგრძნება შემოაქვს რიზალიტის მდებარეობას. ის მთავარი ფასადის ცენტრში კი არ მდებარეობს, რაც დამახასიათებელია ზოგადად მისთვის, არამედ ფასადის თითქმის მარცხენა კუთხეშია გადმოტანილი, რაც შენობის საერთო მდებარეობით უნდა იყოს განპირობებული. როგორც აღვნიშნე ლადო ასათიანის ქუჩაზე მდგარი გიმნაზიის შენობა, ზუსტად ემთხვევა შალვა დადიანის ქუჩის პერსპექტივს, ნაგებობის სწორედ ამ კუთხეს ხედავს თავისუფლების მოედნიდან მომავალი ადამიანი. ამით არქიტექტორს თითქოს სურდა შორიდანვე მკაფიო აქცენტი დაესვა მნახველისთვის, ვიდრე სადად გადაწყვეტილი წითელი აგურის კედლეს სიბრტყე წარმოადგენს.

საქართველოში განათლების სისტემის განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თბილისში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იხსნება სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლები, მათ შორის ქალებისაც. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფესიულ სასწავლებელს წარმოადგენს ბოლო შენობა რომელზედაც მინდა ყურადღება გავამახვილო. ეს არის 1873 წელს დაარსებული სამეანო ინსტიტუტი (დღევანდელი კ. ჩაჩავას კლინიკა მერაბ კოსტავას ქუცაზე) (სცსა ფ. 438; სცსა ფ.192. ა.8. ს.697). სამეანო სასწავლებლის გახსნის მოთხოვნილება ამ დროისთვის, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში არსებობდა, რადგან იმპერიის დედაქალაქის სამეანო ინსტიტუტები ვეღარ აკმაყოფილებდნენ სხვადასხვა პროვინციიდან ჩასული პაციენტების მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა იმპერიის სხვადასხვა ნაწილში სამეანო სკოლების გახსნის აუცილებლობა, რომლებიც ადგილობრივ ჰოსპიტალებთან იარსებებდა. მსგავსი პრობლემის წინაშე იდგა კავკასიის მხარეც, რომელსაც 1873 წლამდე არ გააჩნდა არა მარტო სასწავლებელი, რომელიც აღზრდიდა ბებია ქალებს, არამედ არ არსებობდა სამშობიაროც. ამ მოთხოვნას მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა ქალაქის საავადმყოფო. 1875 წლის 23 აპრილს (ახ. სტ. 1875 წლის 5 მაისს) დამტკიცდა ამიერკავკასიის სამეანო ქალთა ინსტიტუტისა და მასთან არსებული სამშობიარო ჰოსპიტალის წესდება და შტატი (Кавказский Календарь, 1875:93; 1879:194-197). ინსტიტუტი იმყოფებოდა დიდი თავადის ოლღა თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ, ამიტომ ინსტიტუტს მალევე, მის პატივსაცემად ოლღა თეოდერეს ასულის ამიერკავკასიის სამეანო ინსტიტუტს სახელი ეწოდა.

არქიტექტორ ალექსანდრე როგოისკის (?-1912 წ.) მიერ, 1910-1911 წლებში აგებული, ოლღას (დღევანდელი მერაბ კოსტავას #38) ქუჩაზე მდებარე შენობა მოდერნის სტილის ერთ-

ერთი ადრეული მაგალითია (ბერიძე, 1963:82; სცსა ფ.204. ა.1. ს.3974; სცსა ფ.438. ა.1. ს.9) (ფოტო 4-5). ქალთა ინსტიტუტის ოთხსართულიანი ნაგებობა თავისი მასშტაბითა და ფასადთა საერთო კომპოზიციით, კოსტავას ქუჩის მკაფიოდ გამორჩეული დომინანტი უნდა ყოფილიყო. ცენტრალური რიზალიტით, მაღალი კარნიზებითა და ტალღისებური პარაპეტით გამორჩეული სამეანო ინსტიტუტის ფასადები მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი მსუბუქი გეომეტრიული დეკორით არის შემკული. მიუხედავად ამისა, ნაგებობის შემკულობა ზომიერებით გამოირჩევა და მისი ძირითადი სტრუქტურა არ არის გადატვირთული.

**დასკვნა:** როგორც დავინახეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისმა სრულიად იცვალა სახე. დედაქალაქი გაიზარდა, დაემატა ახალი უბნები, გაჩნდა რეგულარული ქუჩები და გამზირები, სადაც დიდ ადგილს ახალი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, კეთილმოწყობილი სკვერები და ბაღები იკავებენ, რაც ცხოვრების ახალი წესიდან და მოთხოვნილებებიდან მომდინარეობდა. შემოდის და ჩნდება ახალი არქიტექტურული მხატვრული სტილები იქნება ეს რენესანსული, ბაროკული, გოთური, მოდერნისა თუ ქართული სტილი. შემოსულ ახალ, ევროპულ ფორმას თბილისი თავის მრავალსაუკუნოვან სამშენებლო გამოცდილებას ახვედრებს, ამუშავებს და ქმნის სრულიად უნიკალურ, გამორჩეულ და მხოლოდ მისთვის თვითმყოფად და დამახასიათებელ მხატვრულ არქიტექტურულ სახეებს. ზოგ შემთხვევაში ცდილობს აღადგინოს ეროვნული მოტივები, რომელიც სტილიზაციის სახით გვხვდება ზოგიერთ საზოგადეობრივ თუ საცხოვრებელ შენობაზე. სწორედ ამის ერთ-ერთი გამოვლინება უნდა იყოს „ქართული სტილის“ შენობების გაჩენაც. ამ პერიოდში აგებული სხვადასხვა სასწავლებლების ნაგებობები კი ახალი სიტყვაა დედაქალაქის არქიტექტურაში, რომელიც თავის ადგილს იკავებს თბილისის არქიტექტურის ისტორიაში.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


აბაშიძე, ზ., ბათიაშვილი, გ., ბერიძე, თ., სყავრელიძე, ა., ჭელიძე, ზ. (2008). *ენციკლოპედია. ქუჩები, გამზირები, მოედნები.* თბილისი.

ბერიძე, ვ. (1960). *თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები.* I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ბერიძე, ვ. (1963). *თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები.* II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გერსამია, თ. (2006). *სპექტრი.* „ქართული სტილი“ თბილისის არქიტექტურაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე.

გერსამია, თ. (2015). *ARS GEORGICA*, *https://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/184.html?ed=16*.

გერსამია, თ. (2018), *ARS GEORGICA*, *https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-26-26/216-2019-01-03-08-44-30.html*

ჟვანია, ზ., გულიაშვილი, შ., გელავა, ნ. (2018). *საიტორიო ცენტრალური არქივის მეგზური.* თბილისი.

მანია, მ. (2018). *გერმანელი არქიტექტორები თბილისში.* თბილისი: Goethe Institut-Georgien.

ხელთუბნელი, მ. (1941). *საბავშვო ლიტერატურის მოამაგე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა.* თბილისი.

ხოშტარია, დ. (2016). *არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918).* თბილისი.

ხუნდაძე, ტრ. (1937). *საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალების კრებული I.* თბილისი: პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.2. ა.2. ს.1405.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.2. ა.1. ს.7081.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.12. ა.7. ს.2237.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.192. ა.8. ს.697.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.203. ა.1. ს.303.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.204. ა.1. ს.3974.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.205. ა.1. ს.140.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.205. ა.1. ს.370.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.205. ა.1. ს.830.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.205. ა.1. ს.1068.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.205. ა.1. ს.1069.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.214. ა.1. ს.140.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.422. ა.1. ს.218.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.422. ა.1. ს.440.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.422. ა.1. ს.708.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.424. ა.1. ს.41.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.438. ა.1. ს. 9.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.453. ა.1. ს.172.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.455. ა.1. ს.99.
*საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)* ფ.455. ა.1. ს.400.
*Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею.* (1866). т. I.
*Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею.* (1878). т. VI.
*Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею.* (1884). т. IX.
А. Тер-Егиазаров и К.М. Назаретов. *Весь Тифлись, Справочно Адресный Альбом на 1906 год.* Издание I-е. Тифлис.
*Зодчий.* (1894). Архитектурный и художественно-технический журнал. XXIII-й год, С-Петербург.
Кишмишев, А. (1909). *Тифлис: Личные воспоминания за время управления Кавказом кн. Воронцова.* Тифлис: тип. М. Мартиросянца.
*Кавказ.* (1882). #205.

*Кавказский Календарь*. (1845).
*Кавказский Календарь.* (1857).
*Кавказский Календарь.* (1858).
*Кавказский Календарь.* (1875).
*Кавказский Календарь.* (1879).
*Кавказский Календарь.* (1890).
*Кавказский Календарь.* (1892).
*Кавказский Календарь.* (1895).
*Кавказский Календарь.* (1910).

## REFERENCES

abashidze, z., batiashvili, g., beridze, t., sqavrelidze, a., ch'elidze, z. (2008). *entsik'lop'edia. kuchebi, gamzirebi, moednebi [Encyclopedia. Streets, avenues, squares].* Tbilisi.

beridze, v. (1960). *tbilisis khurotmodzghvreba 1801-1917 ts'lebi [Tbilisi architecture 1801-1917 years].* I. Tbilisi: sabch'ota sakartvelo.

beridze, v. (1963). *tbilisis khurotmodzghvreba 1801-1917 ts'lebi [Tbilisi architecture 1801-1917 years].* II. Tbilisi: sabch'ota sakartvelo.

gersamia, t. (2006*). sp'ekt'ri,* „kartuli st'ili“ tbilisis arkit'ekt'urashi XIX da XX sauk'uneebis mijnaze [*Spectri.* "Georgian style" in the architecture of Tbilisi at the turn of the 19th and 20th centuries]. .

gersamia, t. (2015). *ARS GEORGICA,* https://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/184.html?ed=16.

gersamia, t., (2018), *ARS GEORGICA,* https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-26-26/216-2019-01-03-08-44-30.html

zhvania, z., guliashvili, sh., gelava, n. (2018). *sait'orio tsent'raluri arkivis megzuri [Guide to the Historical Central Archive].* Tbilisi.

mania, m. (2018). *germaneli arkit'ekt'orebi tbilisshi.[German architects in Tbilisi*]. Tbilisi: Goethe Institut-Georgien.

kheltubneli, m. (1941). *sabavshvo lit'erat'uris moamage, anast'asia tumanishvili-ts'eretlis tskhovreba da moghvats'eoba. [The life and work of Anastasia Tumanishvili-Tsereteli, the author of children's literature].* Tbilisi.

khosht'aria, d. (2016). *arkit'ekt'ura da ident'oba, saek'lesio mshenebloba tbilisshi (1801-1918). [Architecture and identity, church construction in Tbilisi (1801-1918)].* Tbilisi.

khundadze, t'r. (1937). *saero ganatleba sakartveloshi me-19 sauk'unis p'irvel nakhevarshi. sts'avla-aghzrdis ist'oria sakartveloshi. masalebis k'rebuli I. [Secular education in Georgia in the first half of the 19th century. History of education in Georgia. Collection of materials I].* Tbilisi: Scientific Research Institute of Pedagogy.

*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.2. a.2. s.1405.

*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.2. a.1. s.7081.

*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.12. a.7. s.2237.

*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.192. a.8. s.697.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.203. a.1. s.303.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.204. a.1. s.3974.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.205. a.1. s.140.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.205. a.1. s.370.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.205. a.1. s.830.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.205. a.1. s.1068.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.205. a.1. s.1069.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.214. a.1. s.140.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.422. a.1. s.218.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.422. a.1. s.440.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.422. a.1. s.708.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.424. a.1. s.41.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.438. a.1. s. 9.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.453. a.1. s.172.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.455. a.1. s.99.
*sakartvelos erovnuli arkivis tsent'raluri saist'orio arkivi (stssa) [Central Historical Archive of the National Archives of Georgia].* p.455. a.1. s.400.
*Akty sobrannye Kavkazskoju arheograficheskoju komissieju [Acts collected by the Caucasian Archaeographic Commission].* (1866). t. I.
*Akty sobrannye Kavkazskoju arheograficheskoju komissieju [Acts collected by the Caucasian Archaeographic Commission].* (1878). t. VI.
*Akty sobrannye Kavkazskoju arheograficheskoju komissieju [Acts collected by the Caucasian Archaeographic Commission].* (1884). t. IX.
A. Ter-Egiazarov i K.M. Nazaretov. *Ves' Tiflis', Spravochno Adresnyj Al'bom na 1906 god [The entire Tiflis, Reference Address Album for 1906. Edition I].*Tiflis.
*Zodchij.* (1894). Arhitekturnyj i hudozhestvenno-tehnicheskij zhurnal. XXIII-j god. [Architectural and artistic-technical magazine. XXIII year]. S-Peterburg.

Kishmishev, A. (1909). *Tiflis: Lichnye vospominanija za vremja upravlenija Kavkazom kn. Voroncova. [Tiflis: Personal memories during the reign of the Caucasus, book. Vorontsova].*Tiflis: tip. M. Martirosjanca.

*Kavkaz*. (1882). #205.

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1845).

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1857).

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1858).

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1875).

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1879).

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1890).

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1892).

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1895).

*Kavkazskij Kalendar' [Caucasian Calendar].* (1910).

## ილუსტრაციები

1. ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი ალექსი ერმოლოვის (დღევანდელი საგარეო საქმეთა სამინისტრო შიო ჩიტაძის) ქუჩაზე. 1888-1890 წლები.
   არქიტექტორი რობერტ გედიკე.

2. ოლღა თეოდორას ასულის ქალთა პირველი გიმნაზია ატამანის (დღევანდელი სიმონ ჯანაშიას სახლობის ეროვნული მუზეუმის ქვედა შენობა ლადო გუდიაშვილის) ქუჩაზე
   სასწავლებლის მშენებლობა დასრულდა 1874 წლის ოქტომბერში.
   არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი.



3. ქალთა მესამე გიმნაზიის შენობა ბებუთოვის (დღევანდელი მე-6 საავტორო სკოლა, ლადო ასათიანის) ქუჩაზე. 1903 - 1905 წლები.
   არქიტექტორი ალექსანდრე ოზეროვი.



4. ოლღა თეოდორას ასულის თბილისის სამეანო ინსტიტუტი ოლღას (დღევანდელი კ. ჩაჩავას კლინიკა მერაბ კოსტავას) ქუჩაზე. 1910-1911 წლები.

არქიტექტორი ალექსანდრე როგოისკი.